ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3705615

ნომერი: AR1558486

თარიღი : 16.11.2017

გაცემის თარიღი : 28.11.2017

გაცნობის თარიღი : 04.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გოჩა გეთიაშვილი პ/ნ 01011017300
- თბილისი ქ.ჩოლოყაშვილის ქ. I კვ. კორ. 1 ბ. 41

ორგანიზაცია:
- შპს "ისანი პლიუსი" კოდი: 206306255

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3649560 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 16 ნოემბრის №AR1558486 განცხადებით მომართა მოქ. გოჩა გეთიაშვილმა და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3649560 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3649560 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.72.14.035.038 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3649560 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, რომ საცხოვრებელ ფართობად უნდა დაფიქსირდეს 1753.8 კვ.მ ნაცვლად 1754.0 კვ.მ-სა, ავტოსადგომის ფართობად უნდა დაფიქსირდეს 395.7 კვ.მ ნაცვლად 397.9 კვ.მ-სა, დამხმარე ფართობად უნდა დაფიქსირდეს 2.6 კვ.მ ნაცვლად 168.0 კვ.მ-სა, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად უნდა დაფიქსირდეს 234.4 კვ.მ ნაცვლად 56.52 კვ.მ-სა, საერთო ფართობი უნდა იყოს 2495.6 კვ.მ ნაცვლად 2485.52 კვ.მ-სა. განმცხადებელი ასევე ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3649560 ბრძანებით შეთანხმებული -2.80, -0,00, +3.30, +6.60, +9.90, +13.20 ნიშნულების საპროექტო გეგმების ჩანაცვლებას 2017 წლის 16 ნოემბრის №AR1558486 განცხადებით წარმოდგენილი -2.80, -0,00, +3.30, +6.60, +9.90, +13.20 ნიშნულების საპროექტო გეგმებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 16 ნოემბრის №AR1558486 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2017 წლის 31 ოქტომბრის №3649560 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3649560 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 1753.8 კვ.მ; ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 395.7 კვ.მ; დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს 2.6 კვ.მ; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 234.4 კვ.მ; საერთო ფართობად დაფიქსირდეს 2495.6 კვ.მ.
2. ჩანაცვლდეს 2017 წლის 31 ოქტომბრის №3649560 ბრძანებით შეთანხმებული -2.80, -0,00, +3.30, +6.60, +9.90, +13.20 ნიშნულების საპროექტო გეგმები 2017 წლის 16 ნოემბრის №AR1558486 განცხადებით წარმოდგენილი -2.80, -0,00, +3.30, +6.60, +9.90, +13.20 ნიშნულების საპროექტო გეგმებით.
3. სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3649560 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3649560 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.